სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №41

2010 წ. 15 ოქტომბერი

ქ. თბილისი

"საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის – დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში – შემადგენლობაში ქართველ მეცნიერთა ჩართვა" კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2010 წლის 27 სექტემბრის №25 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის – დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში – შემადგენლობაში ქართველ მეცნიერთა ჩართვა" კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების შესაფასებლად საჭირო ვადის გაზრდის აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება "საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის – დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში – შემადგენლობაში ქართველ მეცნიერთა ჩართვა" კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2010 წლის 27 სექტემბრის №25 ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის მე–7 პუნქტის 7.2. ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შმდეგი რედაქციით:

„7.2. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2010 წლის 22 ოქტომბრისა.".

2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს)

წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ვებ–გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საქმისწარმოების კოორდინატორმა (მ. ბეჟიტაშვილს) წინამდებარე ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტისათვის.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური